# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## ქადაგებანი


იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა **რუსულს ენაზედ**, იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და ტფილისის სხვა მაღაზიებშიაც.

ფასი ორი მანეთი.

(6—2)


## ახალი ამბავი

—

⁂ ოზურგეთი: 17 ოქტომბერს აქაურ სამოქალაქო სასწავლებელში „ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებელ საზოგადოების“ კრება იყო. ხალხში ჩურჩული შეიქმნა, რომ, არა თუ დავეხმარებით ამ სკოლას და მის მოწაფეთ, არამედ დედათა სკოლაც არ გვინდაო. ერთმა სთქვა, ორი ქალი მყავდა დედათა სკოლაში და ორივე გამოვიყვანეო და სხვ. შემდეგ მოილაპარაკეს ქალაქის დეპუტატებთან მკვიდრთა სახელით, დეპეშა გაჰგზავნეს კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველთან და სთხოვეს, რომ დედათა სკოლის ორ მასწავლებელში არც ერთმა არ იცის ჩვენი ენა, და უკეთუ ერთი მათგანი მაინც ქართულის ენის მცოდნე არ იქმნება, სასწავლებლის ხარჯს ჩვენ არ ვკისრულობთო...

⁂ ს. ალი (ქართლი): ჩვენ სოფელს ახლო, ქერათხევის გზაზედ, 18 ოქტომბერს, დაეცნენ ავაზაკები ორ მიმავალ მგზავრს და ერთი მათგანი მოჰკლეს, ხოლო მეორე მძიმედ დასჭრეს. ამავე ავაზაკებს გაუძარცვავთ ჩალვადრები წარსულს კვირას. ჯერ ავაზაკთა კვალისათვის არ მიუგნიათ, ქერათხევი ავაზაკების ბუდეთ არის გარდაქცეული. ყველგან რომ მშვიდობიანობა იყოს, აქ უეჭველად რამ ავაზაკობა უნდა მოხდეს. ვგონებ, უნდა გახსოვდეთ, რომ ამ რამოდენისამე წლის წინად ორი ქალი მოჰკლეს ბერდანკის თოფებით, სწორედ იმ ალაგს, სადაც ეს ავაზაკობა მოხდა.

⁂ სოფ. გურჯაანი (ქიზიყი). ამას წინად ერთს მეზვრეს ძაღლი დაუცოფა რაღაც ნადირმა. ძაღლი მინდვრად გავარდა და მინდვრად გასულ ხალხს დაერია, დაჰგლიჯა და დაცოფა რამდენიმე კაცი და დედაკაცი. ერთი ამ ძაღლისაგან დაცოფილი ახალ გაზდა ქალი, რომელიც შარშან გათხოვდა, უკვე გარდაიცვალა ამ დღეებში.

---

## მთავრობის განკარგულებანი

—

რკინის გზათა დეპარტამენტმა უბრძანა ყველა რკინის გზების მმართველობათ, მატარებლების ორთქლმავალს ღამე უშეველად წინ უნდა ჰქონდეს ანთებული ფარნები ამერიკულის სისტემისა.

---

## თავადი ვიაზემსკი ჩაქვში

(დასასრული *)

ჩაქვიდამ თ. ვიაზემსკი გაემგზავრა კახეთს, წინანდალში. გზაში ბევრი გაჭირება გამოვიარეთ ფოსტის ცხენების უვარგისობის გამო. თ. ვიაზემსკიმ დაათვალიერა ვენახები, ჯერ წინანდალსა და მერე მუკუზანში, აგრედვე ნაფარეულშიაც. ყველგან მშვენივრად ესხა და კარგად იყო შემუშავებული, ვაზი გაფურჩნული და გაწმენდილი; ვენახში წამლადაც ვერ იპოვიდი ერთ ბალახს. ყველგან ბლომად მოვიდა წელს ყურძენი, მაგრამ ყველაზე მეტი მოვიდა ახლად გაშენებულ ბაგას კეკეთაულში. აქ ფრანგს მეღვინეს ბ-ნს მასონოს გაუშენებია ბაგა და ვაზი მწკრივად ჩაუყრია, გაუბამს მავთულები და მავთულზე აუკრავს. ბაგა სივრცით ათი დესეტინაა, თითოეულმა დესეტინამ წრეულს მისცა 880 ვედრა ღვინო.

ერთმა გარემოებამ გამაკვირვა: ამ ბაგის გვერდით მრავალია სავენახეები ადგილობრივ მცხოვრებლებისა, მაგრამ კახელებს ყველა ეს სავენახეები ან საძოვარ და ან სათიბ ადგილად აქვთ გადაქცეული. არ ვიცი, რას მიეწერება ეს: ხალხის სიზარმაცეს, თუ დაუდევრობას. ჰხედავენ სამაგალითოდ დაწყობილს, გამოწმენდილს ვენახებსა და მის დიდს გამოსავალს და ყურადღებას არ აქცევენ. ღვინო საუფლისწულო უწყების მარნებში ბლომად აქვს, მაგრამ უფრო კარგის ღირსების ღვინოდ მიაჩნიათ ნაფარეულის ღვინო. უფროსი მეღვინე ფრანგია და სხვა მისი თანაშემწენი—რუსნი არიან, გარდა მუკუზანის მარნის გამგებლისა, ის-კი ქართველია—ჯაფარიძე, რომელსაც კარგად შეუსწავლია თავისი ხელობა მომპელიეში. ძალიან ეშინიან აქ ფილოქსერის, ვაი თუ გვეწვიოსო. ამისათვის თავად ვიაზემსკის უბრძანებია სხვა-და-სხვა გვარის ამერიკულ ვაზის გაშენება. ამ ვაზებს ძალიან კარგად უხეირნიათ კახეთში. მაგრამ რადგანაც კახეთში ჯერ ფილოქსერა არ არის, ამისათვის რომ უფრო მტკიცედ იცოდნენ, რამდენად გაუძლებს ფილოქსერას ამერიკის ვაზი და რომლის გვარისა გაუძლებს, მე მომანდო თავადმა ვიაზემსკიმ შორაპნის მაზრაში ანუ ქუთაისისაში, სადაც არის ფილოქსერა, ვიშოვო რამდენისამე წლით სავენახო ადგილი და გადმოვიტანო ამერიკის ვაზები სხვა-და-სხვა გვარისა და დავრგო იქ. უკეთუ ამ ვაზებმა გაუძლეს ფილოქსერას და ჭირმა ვერა დააკლოს-რა, მაშინ ამ ნაირს ვაზს დამყნიან სხვა კარგის აზებით და მით გააშენებენ ახალს ზვრებს.

მე ამ საქმეს ჩქარა უნდა შევუდგე. მე მგონია ეს საქმე ჩვენის ქვეყნისთვისაც სასარგებლო საქმე უნდა იყოს.

გიორგი ჩიჩუა

*) იხ. „ივერია“, № 225.

---

## ქართლ-კახეთის სამღვდელოთა წარმომადგენლების კრება 8—14 ოქტომბერს

(დასასრული *)

მთელი კრება გააკვირვა აწ გადაყენებულის კომიტეტის ქართველურმა უთავბოლობამ: 1888—1891 წწ. განმავლობაში არც ერთი წლიური ანგარიში არ არის შედგენილი და დამტკიცებულ-განხილული ვისგანმე; საქმეები ღვთის ანაბრობაზედ ყოფილა წარმოებული. არა ნაკლებ გაა-

*) იხ. „ივერია“, № 224.

---

# ფელეტონი

—

### პასუხად

### დარბაისელ გაზეთის

### დარბაისელ რედაქტორს.

„ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი „გულის-ნადები, რომელიც ზედ აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს სხვის გასაბიაბრუებლად გამოლაშქრებულს, „მეტის-მეტად ცხადი ნიშანია თვითონ „მოლაშქრეს უწმინდურობისა და ჭუჭყისა“.

(გაზეთი „ივერია“, 1887 წ. № 274, თაური წერილი).

ბევრი რამ მომხდარა უცნაური ჩვენს ლიტერატურაში, ბევრის უკუღმართობის მოწამენი ვართ ჩვენცა და სხვანიც, ბევრი უმართებულობა გადახედია მას, მაგრამ არსად იმისთანა არა გვინახავს-რა, არა წაგვიკითხავს-რა, რაც წავიკითხეთ წრევანდელ „ივერიის“ 216 №-ში. ნახევარ ნუმერზედ მეტი, მთელი ფელეტონი, ოთხ გვერდზედ სიგრძე-სიგანეზედ ისე ფართოდ გადაჭიმული, რომ გაზეთისათვის ყელში წაუჭერიათ და თვით მეთაურების ავტორი „მეველეც“ სადღაც კუნჭულში მიუმწყვდევიათ,—თითქმის მთელი გაზეთი-მეთქი დაუთმიათ იმისთანა ლანძღვა-გინებისათვის, რომელსაც ძველებურ სამუახლოეებში თუ მოისმენდით, თორემ სხვაგან ვერსად. სიტყვები: „წინ-დაუხედავი, უთაური, უხეირო, ბედ-ნაკლები, თავლითი, რეგვენი, ყბედი, ჩიტირეკია, ქარაფშუტა, ჭკუა-დაულაგებელი, თავის ღირსების არ დამცველი, ჭკუა-თხელი, თავისებურად ზურგთ უკან გამძრომ-გამომძრომი, სხვის საკუთნოსაკენ ხელის წამტაცი“ და სხვ. უხვად აჭრელებენ ამ უშველებელ ფელეტონს.

მერე ვისდამია მიმართული ეს ვარდის კონა ლექსთა კრება და ვის ბედნიერ კალამს შეუმკია „ივერიის“ ფურცლები ამისთანა მშვენიერ წყობილ-სიტყვაობით?

ეს ყველა სრულად და უნაკლულოდ შემეხება და მეკუთვნის მე, თქვენს უმორჩილესს მონას, და ასე უხვად მათი გამცემი, მათით წყალობის მომფენი ბრძანდება თვით თ. ილია ჭავჭავაძე, რომლის სახელი და გვარი შეუმოკლებლად აქვს ქვეშ მოწერილი ამ ღირს-სახსოვარ ფელეტონს.

მერე რამ გაარისხა ასე ეს ზრდილობიანობისა და თავაზიანობის მქადაგებელი? რად აღძრა ბაგენი თვისნი ასეთის უშვერის ლანძღვა-თრევისათვის? აი რამ: გაზეთს „მწყემსში“ ბ. ილია ჭყონიამ დაბეჭდა წერილი, რომელშიაც ამბობდა: 1880—1883 წლების განმავლობაში „დროებაში“ ხელის-მოწერით მოიკრიბა ექვსასიოდე მანათი განსვენებულის ისტორიკოსის მ. ბროსეს პრემიისათვის და როცა ს. მესხმა გადასცა „დროება“ ი. მაჩაბელს, მაშინ ამ ფულების დანიშნულებისამებრ მოხმარება დაევალა ამ უკანასკნელს, რომელიც, იმედია, დაამოწმებს ჩემგან თქმულს სიმართლესაო. მე ვუპასუხე: თუმცა ფულად არ მიმიღია, მაგრამ მაგის გადახდის მოვალეობა დიდაც მე მაქვს ნაკისრები-მეთქი და დაგვიანების მიზეზიც ავხსენ. ავხსენ, რომ ამ ავლთან ერთად „დროების“ მოსპობის შემდეგ ცხრაასი თუმანი გაზეთის ვალი დამატყდა და თან ვუამბე მკითხველებს ამ გაზეთის აღკრძალვის ამბავი და შენიშვნაში ვცადე დამესურათებინა, თუ რა როლსა თამაშობდა თ. ჭავჭავაძე ამ ისტორიაში; ის თ. ჭავჭავაძე, რომელმაც თუმცა ყველა ეს ამბავი კარგად იცოდა, მაგრამ მაინც შეუნიშნავად გადმობეჭდა ბ. ჭყონიას წერილი თავის გაზეთში, როგორც იარაღი მომართული ვითომც-და ჩემდა შესარცხვენად, ჩემდა გასაბიაბრუებლად.

ამ შენიშვნამ გაამწვავა თ. ჭავჭავაძე და გამოალაშქრა ასე გაბრაზებული; გაბრაზებული იმ ზომამდე, რომ თითქო დაავიწყდა უბრალო წესი მოკამათეთა და არც-კი გადმობეჭდა ის წერილი, რომელმაც მისი რისხვა-გრგვინვა გამოიწვია.

„ბოროტი ენები“ ამბობენ, თ. ჭავჭავაძემ იმიტომ არ გადმობეჭდა მაჩაბლის წერილი „მწყემსიდან“, რომ ორივეს წამკითხველნი მიხვდებოდნენ იმის რისხვის უმნიშვნელობას და ხსენებულ ფელეტონსაც შეადარებდნენ დონ-კიხოტის გალაშქრებას მისგანვე ოცნებით წარმოდგენილ ქარის წისქვილებთანაო, მაგრამ დავანებოთ თავი ბოროტ ენებსაც, ამ წინასიტყვაობასაც და მივმართოთ მხოლოდ ფაქტებს, ნამდვილ ამბავს, უტყუარ ცნობების ერთი-ერთმანეთთან შედარებას.

ჯერ თ. ჭავჭავაძე შესჩივის საზოგადოებას, საცა არა მგონია, მაჩაბელი მე გადმომწვდება ხოლმეო. მე ხმა არ გამიცია აქამომდე, ან რა ხმის გასაცემი იყოო, მაგრამ ეხლა-კი მეტი გზა არ არის, მეც ჩემი არა ვთქვაო.

„ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“, სწორედ ასე მოსდის თ. ჭავჭავაძეს. ჩაუგდია ხელში ერთადერთი ყოველ-დღიური ქართული გაზეთი, სთხრის და მიწასთან ასწორებს თავის წინააღმდეგთ ამ გაზეთის შემწეობით; ძალად ათქმევინებს მათ თავის გაზეთში იმისთანა უთავბოლო სიტყვებს, რაც თავის დღეში სიზმრათაც არ მოსჩვენებიათ; ამას არა კმარობს, რუსულ გაზეთებშიაც შოულობს იმისთანა მომხრეთ, რომელთაც უკან ამოეფარება ხოლმე, აწოდებს ვითომ-და უტყუარ ცნობებს, ორივე მხრით იერიში მოაქვს და როცა მოიწადინებს ვინმე პასუხის გაცემას და იმის გამოაშკარავებას, თუ რამდენად საფუძვლიანია ცოდნა თ. ჭავჭავაძისა, ან მართლა ნამდვილი საბუთები უჭირავს ხელში თუ არა, ის ჯერ გაჩუმდება და მხოლოდ შემდეგში როდისმე გაკვრით გაიხსენებს ამ ამბავს, რომ თავის მოპირდაპირეთ უქმი ყბედობა შესწამოს და თითონ-კი თავს იდვას თანამდებობა ოლიმპის მთაზედ წამოყუდებულის ღმერთისა, რომელსაც წვრილ-ფეხობა მოსვენებას არ აძლევს.

ისე იქცეოდა ბანკის საქმეში, ასე ჰლამის მოქცევას სალიტერატურო საქმეშიაც. მაგრამ ერთს რასმე გავახსენებთ თ. ჭავჭავაძეს. ორჯერ გამოვიწვიე მე იგი ბეჭდვით მედიატორეთა სამართალში, ორჯერ მოვიწადინე, რომ პირუთვნელ და საქმის მცოდნე პირთ გაერჩიათ ის დაუსრულებელი კამათობა ბანკის საქმეთა შესახებ, რომელმაც მკითხველებიც გააბეზრა და მსმენელებიც; მაგრამ თ. ჭავჭავაძემ არ ინება ამ სურვილის შესრულება, თითონ კარგად იცის, რა მიზეზითაც. აი ეხლაც, როცა სრულიად სხვა საგნის გამო ასეთის რიხითა და გრგვინვა-ჭექით გამოდის ასპარეზზედ და თავი ცამდე მართალი ჰგონია, მე კიდევ მზადა ვარ და დიდადაც მოხარული ვიქნები, რომ ამავე სამართალს მივანდოთ გასარჩევად მთელი ეს დავიდარაბა ბანკის საქმეების დამატებით. კიდევ უფრო მოხარული ვიქნები, თუ ეს საქმე გაირჩევა დიდის კრების წინაშე, რომ მოსამართლეთა გარდაწყვეტილებას სარჩულად საზოგადოების აზრი დაედოს; მაგრამ... მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც ორჯერ ყური მოუყრუა თ. ჭავჭავაძემ ჩვენს წინადადებას, ისე ეხლაც გვერდს აუვლის, ან მოჰყვება ჩვეულს იაფი ფასის ოხუნჯობას, რომელსაც კაცი ვერც ძვალს გამოარჩევა, ვერც რბილს, მაშ სჯობს ისევ სიმ შესანიშნავ ფელეტონს დავუბრუნდეთ.

მე მწადდა იქიდან დამეწყო, რომ მეკითხა ჩემის წერილისა და იმის ფელეტონის წამკითხველთათვის, თუ რას ამტყუნებს იგი ჩემს წერილში, რომელი ამბავი ჩემგან გახსენებული მიაჩნია მას შეთხზულად, ანუ უსაფუძვლოდ, მაგრამ მომაგონდა, რომ

კვირვა კომიტეტის ხელ გაშლილობამ: ფული, თუ სანთელი ისე ურიგებია, როგორც ბზე; მაგ. სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კერძო პირებს გატანილი ჰქონიათ ფულად, თუ სანთლად 36938 მან. და 65 კაპ. ამ ფულიდან—500 მან. დეკანოზს ნ. კ—ოვზედ ირიცხება, 7835 მან. და 89 კაპ. სასულიერო სემინარიაზედ, 6318 მან. 12 კაპ. ექსარხოსის სახლის ეკკლესიაზედ, 1760 მან. 94 კაპ. სასინოდო კანტორაზედ და სხ. კრებამ ერთხმად განაცხადა სურვილი ამ ფულების მალე დაბრუნებისა. ქარხანის ზედამხედველის თანამდებობაზედ ცხრა მღვდელმა შემოიტანა თხოვნა. თუმცა დეკ. იუნიცკი დაჟინებით ითხოვდა ზედამხედველის აღრჩევის გადადებასა, მაგრამ კრებამ თავისი გაიტანა და ცხრა კანდიდატიდან მღ. ს. რცხილაძე იქმნა აღრჩეულ. კრებამ დაავალა ქარხანის კომიტეტს ყოველ წლიური ქარხანის ანგარიშების ბეჭდვა ადგილობრივ საექსარხოსო მოამბეში.

მეორე საყურადღებო საგანი იყო მედავითნეთათვის სკოლის დაარსება. კრებამ ერთხანად ცივი უარი განაცხადა—ფულები არა გვაქვსო. შემდეგ-კი ნებსით უნებლიედ იკისრა აღნიშნულის სკოლის გამართვა მცხეთაში,—სვეტის ცხოვლის ეზოში, სადაც ამ სკოლისათვის უნდა შეკეთდეს გურგენიძისეული სახლი. ამისათვის სამღვდელოებამ დაადგინა: ვისესხოთ სამასი თუმანი საეპარქიო სანთლის ქარხანისაგან და ფუთის ნამწვავის ფასიდან (20 მან.) თითო მანათი გადაიდვას ამ ვალის გასაშორებლადო. ამ სკოლის შესანახად კავკასიაში ქრისტიან. აღმადგ. საზოგადოებისაგან ყოველ წლივ გადაიდება 1500 მანათიო, დაარწმუნეს კრება. კრებამ აქვე აღმოარჩია კომისია მედავითნეთათვის სკოლაში სასწავლებელ საგნების პროგრამმის შესადგენად: არხიმანდრიტი ლეონიდი, დეკანოზი ა. კონჩუევი, მღვდლები გ. ჩეტირკინი, ვ. კარბელაშვილი, თ. ჟორდანია და გ. საძაგელოვი.

გარდა ამისა კრებამ დაადგინა—დაარსდეს საეკკლესიო ნივთთა და წიგნთა საწყობი ტფილისში და ამისათვის თვითეულმა კრებულმა ერთდროებით ორ-ორი მანათი გადაიხადოს ამ ერთის წლის განმავლობაში, აგრეთვე ყველა ეკკლესიასთან დაარსდეს პატარ-პატარა წიგნთ-საცავი და ნელ-ნელა შეივსოს სასარგებლო წიგნებითაო.

დიდად იყო კრება მოწადინებული დაეარსებინა საეპარქიო წიგნთ-საბეჭდავი, რომ მით აღმოეჩინა მერმისისათვის ისეთივე შემოსავლიანი წყარო, როგორც საეპარქიო სანთლის ქარხანა. სამღვდელოებას ეჭირა ხელში ძველად საქმე მწიგნობრობისა, ჰმართავდა წიგნთსაბეჭდავებს—ტფილისში (1709 წ. 1751 წ. 1764 წ. 1783 წ.) კრემენჩუგში (1789 წ.), მოსკოვში (1738 წ., 1765 წ., 1805 წ.) ქუთაისში (1808 წ.) საჩხერეში (1811 წ.), წესში (1814 წ.) და სხ. და თვით სამღვდელოება ასრულებდა ყოველ-გვარ სამუშაოსაო. დღეს რომ საეკკლესიო წიგნთა ბეჭდვაა საჭირო, სასინოდო კანტორის ქაღალდების ბეჭდვას რომ აუარებელი ფული უნდება—საეპარქიო წიგნთ-საბეჭდავი (ტიპოგრაფია) სწორედ მისწრება იქმნებოდა. კრება დაიმედებული დაიშალა—უთუოდ დავაარსოთ სტამბა შემდეგ კრებაზედაო.

სასურველია, რომ საფუძვლიანად გამოირკვეს საეპარქიო სანთლის ქარხანის საქმეების წარმოება 1888—1892 წლების განმავლობაში და თუ დანაშაულობა და ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდება, დამნაშავენი დაისაჯნენ. დიდი მითქმა-მოთქმა იყო კერძოდ გადაყენებულის კომიტეტის წევრთა მოქმედებაზედ. დამნაშავენი დღემდე დაუსჯელნი რჩებოდნენ; ამას იქით შეუძლებელია ისეთი დაუდევრობა და სირცხვილია, რომ მთელმა ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ ერთი სანთლის ქარხანის მოვლა პატრონობა ვერ მოახერხოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ კრებისაგან მეტს მოელოდა საზოგადოება და თვით სამღვდელოება და თუ ამ უკანასკნელთ იმედები გაუცრუვდათ, კრებისაგანთა გაუბედაობის და აჩქარების ბრალია. მაგ. სამღვდელოება დიდძალს ფულს ჰხარჯავს ყოველ წლივ სასულიერო სასწავლებლების შესანახად და ვერ მოუხერხებია, რომ ეგ ფულები (30000 მანათამდე) ხმარდებოდეს სამღვდელოების საჭიროებასა, და არა სასწავლებლების გამგეთა აზრების განხორციელებასა. ვინატრით მალ-მალ მოხდებოდეს ესეთი კრებანი სიმრუდის გასასწორებლად და განსაკარგებლად.

დამსწრე

15 ოქტომბერი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ემილ-ზოლას სიტყვის გამო უსახელო მწერლობის შესახებ, ლონდონის გაზეთი Athenaeum სწერს:

არა გვგონია შესაძლო იყოს შეწყნარება ზოლას აზრისა, რომ საპოლიტიკო წერილებს ავტორმა ხელი არ უნდა მოაწეროს და სიტყვა-გაზმული წერილება კი აუცილებლად ხელ მოწერილი უნდა იყოსო. თვით იმან ვერ აღნიშნა, რა განსხვავებაა ამ ორგვარ მწერლობას შუა, და თვალსაჩინოდ ვერ გაავლო ხაზი მათ შორის. ამასთანავე საფრანგეთის მწერალთა წესი საკრიტიკო მიმოხილვათა წესისა ისეთივე არ არის, რომ მით ვიხელმძღვანელოთ. საფრანგეთში ავტორი იშვიათად ჰგზავნის თავის წიგნს იმ რედაქციაში, რომლის აზრიც მისთვის სასურველია დაბეჭდილი იყოს; არამედ უგზავნის რომელსამე მეგობარს, რომელსაც დავალებული აქვს რედაქციისაგან ახალ წიგნების განხილვა. ამ წესს ცუდი შედეგი უნდა ჰქონდეს და თუ კრიტიკა ჯერ არ გარდაიქცა ავტორების ქება-დიდებად, ეს იმის ნიშანია, რომ საფრანგეთში ინგლისთან შედარებით, უფრო მეტია ისეთ გაცთა რიცხვი, რომელნიც დიდის ყურადღებით ეპყრობიან ლიტერატურასა და ხელოვნებას და რომელთაც შეუძლიათ თავისი საკუთარი აზრი იქონიონ. ხოლო ამ ნაირ მწერლობაში, რომელსაც საზოგადოება ყურადღებას არ აქცევს (მაგალითად, სამეცნიერო ნაწარმოებში), კრიტიკა მეტად დაქვეითებულია ხოლმე. მაგალითად, ამ რამდენისამე წლის წინად საფრანგეთში მწერლობა მეტად აქებდა Lucil Percy—Histoire d'une Dame au XVIII siecle-ს. ჩვენა გვგონია, რომ ამ ნაირად ისტორიის შეთითხნას ჩვენში პირდაპირ ახდებოდა რომელისამე უსახელო კრიტიკოსის-მიერ.

**

საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, ჩვენი მეგობრობა რუსეთთან მარტო პოლიტიკის მხრივ არ არის ჩვენთვის სასარგებლო. არა, რუსეთს ბევრი რამ მოეპოვება, რაც შეუძლიან გაგვიზიაროს ჩვენ და ამით დიდად დაგვეხმაროსო.

აი რასა სწერს, მაგალითად, გაზეთი „Temps“.

რუსეთს არ დაჰვიწყებია, რომ იგი მოვალეა ჩვენი და ეხლა სურს ეს ვალი გადაგვიხადოს. ოდესმე ჩვენ ბევრი რამ ვასწავლეთ და შევასმინეთ რუსეთს, როცა პეტრე პირველი პარიჟს იყო, როცა ეკატერინე მეორეს და დიდროს მიწერ-მოწერა ჰქონდათ, და უფრო ადრეც რიშელიესა და გენერალ ლანჟერონის დროს.

ეხლა თავის მხრივ რუსებს სწადიათ გვასწავლონ ყველა ის, რაც თითონ იციან, რაც ასწავლა დიდის ხნის გამოცდილებამ, რაც გადმოსცეს მათ მათმა მამა-პაპათ, წარმომადგენელთ იმ ერისა, რომელიც ცნობილია, როგორც მომთმინე, გამბედავი, მხნე ერი. რუსები ბევრს რასმეს გვეტყვიან და ჩვენც ყური უნდა დავუგდოთ; ჩვენ ბევრჯერ გვსმენია ხმა რუსეთისა. ამ ხმის გაგებას დიდი ხანია სცდილობენ ჩვენი მწერლები. ნაწერნი ალფრედ რამბოსი, ანატოლი ლერუა-ბოლიესი, ვოგუესი, ლიუ-ლეჟერისა მთელს ბიბლიოთეკას შეადგენენ, რომელიც აუცილებლად საჭიროა ყველა ფრანგისთვის, ვინც-კი მოისურვებს გაიცნოს რუსეთის ისტორია და ლიტერატურა. რუსეთის ისტორია სწორედ რომ გასაოცარია. ისეთ მოღრუბლულ ცის ქვეშ, როგორიც რუსეთშია, ეს ერი მაინც არა ჰკარგავს იმედს და სასოებას. ეს ისტორია სწორედ რომ სასწაულს წარმოადგენს. დღეს რუსებმა გაჰკვალეს რკინის გზა შუა აზიის უდაბნოში; ხვალ თუ საჭირო იქმნება, იგინი ხიდს გასდებენ შავს ზღვაზედ. ლიტერატურა რუსეთისა გამსჭვალულია უკეთესის მომავლის

---

მრავალს იმის ფელეტონის წამკითხველს ჩემი წერილი არ ექნება წაკითხული და იძულებული ვარ მოკლედ, რამდენიმე სიტყვით, გადავცე მკითხველებს შინაარსი იმ წერილისა.

1883 წ. მაისში განსვენებულმა სერგეი მესხმა მე გადმომცა „დროება“, რომელთან ერთად ექვსასი თუმანი ვალი გაზეთისა კისრად დამედო. ამ ვალში იყო 532 მან. ბროსეს პრემიის ფულიც. წლის დასასრულამდე სამას-ოთხასი თუმანი კიდევ სხვა ვალი მოემატა, რადგან წლის ხელის მოწერის ფული, უმთავრესი შემოსავალი გაზეთისა, უწინ გაზეთსვე მონდომოდა. მე იმედი მქონდა გაზეთის შემოსავლიდან გადამეხადა ეს ვალი და შემდეგი შემოსავალი გაზეთის გასაუმჯობესებლად მომეხმარა, მაგრამ სექტემბრის 12, 1885 წ. გაზეთი აკრძალეს და მთელი ვალი 9000 მან. კისრად დამედო. აკრძალვის უმალვე 50-მდე ჩვენს ლიტერატურასთან დაახლოვებული პირი შეიყარა, რომელთაც გარდასწყვიტეს, ეგ ვალი საზოგადო ვალია და საზოგადოდვე უნდა გადავიხადოთო; მათგან მოტანილი ამის საბუთები ვრცლადა მქონდა დასახელებული. მე-კი გამოვაცხადე-მეთქი, რომ, რადგანაც იურიდიულად მე ვიკისრე ეგ ვალი, მევე უნდა გადამხდეს და გადამხდება კიდეც. ჩამოვთვალე, რაც ვალი მქონდა, ბროსეს პრემიაც დავუსახელე და თან დავუმატე, იქნება მთელი ჩემი სიცოცხლე ვერც-კი ავუვიდე მაგოდენა ვალს, რაკი გაზეთი ხელთ აღარა მაქვს, მაგრამ ყოველის ღონის-ძიებით ვეცდები პირნათლად გამოვიდე ადრე თუ გვიან საზოგადოების წინაშე და იმათი ნდობაც გავამართლო, ვინც ეგ საქმე მე გადმომცა. მაინც არ მომეშვნენ, კომიტეტი შეადგინეს, მოთავეობა იკისრა თ. ილია ჭავჭავაძემ, მაგრამ არამც თუ ერთი გროშიც არავის გადაუხდია ჩემს გარდა იმ ვალისა, ბრმა შემთხვევის გამო „დროებამ“ დაჰკარგა 1500 მანათამდე ბანკის განცხადების ფული, რომელიც ჟურნალის „ივერიის“ რედაქტორს თ. ჭავჭავაძეს ერგო; რედაქტორს იმ ჟურნალისას, რომელსაც ორ წელიწადზედ მეტი უსასყიდლოდ განვაგებდი, თუმცა სასყიდელს დაპირებულნი იყვნენ და ერთხელ იძულებული ვიყავ ჩემის მოადგილისათვის შრომის ფასი ჩემის ჯიბიდგან მიმეცა.

მას აქეთ მოვდევ-მეთქი ამ ვალების გადახდას, მაგრამ დღესაც კიდევ ვერ გამისტუმრებია. მართალია, ჯერ ბროსეს პრემია უნდა გადამეხადნა, მაგრამ ხუთას-ექვსას თუმნამდე იმისთანა ვალი იყო, რომელსაც ვადა ჰქონდა და ვადის გადაცილება არას გზით არ მოხერხდებოდა. ჩემდა საბედნიეროდ ამ შემაწუხებელ ვალებს მოვრჩი, მხოლოდ ორის პირისა დამრჩა სამას თუმნამდე და კიდევ ბროსეს პრემიის ვალი, რომელსაც, იმედი მაქვს, ამ ერთ წელიწადში ან წელიწად ნახევარში გადავიხდი მეთქი.

ერთი ჰკითხეთ თ. ჭავჭავაძეს, თუნდ ერთი სიტყვა არის რამ მოგონილი ჩემს წერილში? ყველაფერი ასე არ იყო, როგორც ვწერდი? თვით თავ. ჭავჭავაძე კარგადა ჰგრძნობს, რომ ასე იყო, გადაჭრილს სიტყვას არას ამბობს, „თუნდ აგრეც იყო“ ზედ და „ვთქვათ“-ებზედ აშენებს მთელს თავის მსჯელობას და ბოლოს იმითი აგვირგვინებს ამ ლანძღვა-გინების კარაბადინს,—მაჩაბელს ბროსეს პრემიის შერჩენა უნდოდაო და ამის გამო თავისით არ გამოაქვეყნა ეს ამბავიო, მაინც მას სხვის საკუთნოსაკენ ხელის წატაცება ეხერხება, ანუ ებედებაო. არ ვიცით, რას გრძნობდა თ. ჭავჭავაძე ამ სტრიქონების დაწერის დროს, მაგრამ მე კი წაკითხვის დროს ეს ვიგრძენ, რომ სიკვდილამდე კაცი იმისთანას ვერასა ჰნახავს, რის უარესსაც არ უნდა მოელოდეს. როგორ! 532 მანათს ვექცეოდი, ვმალავდი, სხვის საკუთნოსაკენ ხელს ვატანდი, როდესაც 9000 მანათს, ყველასაგან საზოგადო ვალად აღიარებულს, დიაღ, თვით ჭავჭავაძისაგანვე ოდესმე ასე ცნობილს ვიხდი და ვხდილობ ხმის ამოუღებლად, გამოუქვეყნებლად!! 532 მანათს ვმალავდი, რომელიც გაზეთში ცალკე იყო გამოცხადებული და ცალკე 50 კაცს წინაშე ჩემგანვე გახსენებული *)! მაშ, რატომ გაზეთში არა სთქვი-რა ამაზედ, როცა რუსთაველის ძეგლზედ ჩამოვარდა ლაპარაკიო. იმიტომ არა ვთქვი რა, რომ მაშინ მინდოდა მეთქვა, როცა შეძლება მექნებოდა და ამ ფულს ჯეროვან ადგილს წარვადგენდი, და რომ ეს დრო მოახლოვებული იყო, ამას „მწყემსში“ ჩემის წერილის წამკითხველნი ადვილად დაინახავდენ. წინდაწინ კი არც 9000 მანათზედ მიყვირნია, არც 532 მანათზედ მინდოდა ყვირილი, თუმცა თ. ჭავჭავაძე ბაქიობასა და თავზედ წამებულის გვირგვინის დადგმის სურვილს მაბრალებს.

როგორ თუ საზოგადო ფულიო, ბრძანებს თ. ჭავჭავაძე, საზოგადოებასთან ვის რა ხელი აქვსო; მაჩაბელმა გაზეთი იყიდა 6000 მანათად და 3000 მან. კიდევ სხვა ვალი დააკერა თავის უთაურობით, რადგან «დროებას» კარგი სახარბიელო მზითევი ჰქონდაო, როგორც თვით იმისი ყოფილი გაზეთიც არწმუნებსო. მერე მოაქვს დასამტკიცებლად და მაწერს მე ერთს ადგილს იმ ფელეტონიდგან, რომელიც ბ. კეზელმა თავის სრულის სახელის ხელ-მოწერით დაბეჭდა მაისის 8 ნომერში 1883 წ. და რომელსაც ჯერ კიდევ რედაქტორად მესხის სახელი ეწერა.

აქ თ. ჭავჭავაძე მალავს იმ გარემოებას, თუ 6000 მანათს 3000 მანათი ვალი როგორ მიემატა, თუმცა ეს გარემოება ყველასათვის ცხადია, ვინც-კი ჩემს წერილს წაიკითხავდა და თუ მალავს, იმისთვის მალავს, რომ ესეც ჩემს უთაურობას დააბრალოს. ნუ გამოვუდგებით ამ წვრილმანს და ვიკითხოთ პირდაპირ, რა ჩამეთვლება ყოველს ზემო ნათქვამში მე დანაშაულად? ის რომ სხვას შევეცილე და „დროება“ ვიყიდე მესხისაგან? დიაღ, ვიტყვი, „ვიყიდე“, რაკი ეს სიტყვა ისე მოსწონს თ. ჭავჭავაძეს. მართლა გამორჩენისათვის ვიყიდე თუ არა, ან როგორ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, როგორ ვექცეოდი ჩემს თანამშრომლებს, რომელთ წინაშე გადაშლილი მქონდა ყოველი შემოსავალ-გასავლის წიგნები გაზეთისა, ან ვიღებდი რასმეს ჩემის შრომის ფასს, თუ არა,—ამის გამოცნობა თ. ჭავჭავაძის გულთმისნობისთვის მიმინდვია და იმ პირთა სინიდისის მხელისათვის, რომელნიც მაშინ ჩემთან დაახლოვებულნი იყვნენ და ძნელს უღელს გაზეთში მუშაობისას მიწევდენ. ვიტყვი მხოლოდ ამას, რომ მაშინაც და ეხლაც მე ღრმა პატივსა ვცემდი და ვცდილობდი იმის ნდობა შემესრულებინა, რომელმაც ის გაზეთი მე მომყიდა, რადგან ამ ყიდვა-გაყიდვაში მარტო დუქან-ბაზრული ანგარიში არა რეულა; დიაღ, ღრმა პატივსა ვცემდი ამ მართლაცდა ლიტერატურისათვის წამებულს, თუმცა თ. ჭავჭავაძე, მესმის,—რა ანგარიშითაც, ყოვლის ღონის-ძიებითა ცდილობს სხვა აზრით და სხვა გრძნობით აალაპარაკოს ჩემი სიტყვები. ამასთანავე, თუმცა ვიცოდი, რომ შესაძლო იყო სიმართლის თქმა ძვირად დამჯდომოდა და იქნება ამის გამო გარდაუხდელ ვალებშიაც ჩავვარდნილიყავ, მაგრამ მაინც ამას არ ვერიდებოდი და რაც ჩემის წარმოდგენით მართალი იყო, ხმამაღლა ვამბობდი. მე დევიზად ჩვენის სახელოვანის შოთას სიტყვები მქონდა და მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ სიტყვების მიდევნისათვის თ. ჭავჭავაძის ნიშნის მოგება წინ დამხვდე-

*) არ მოგაგონებთ ეს ამბავი თ. ჭავჭავაძის ხერხს, ერთხელ უკვე დიდძალ საზოგადოების წინაშე ნაცადს,—მაჩაბელი იმიტომ გადამეკიდა, რომ 1000 მანათი მთხოვა დივიდენდში და არ მივეციო.

ოცნებითა და განვითარების იმედით. რუსეთის პოეტთა თხზულებანი წარმოადგენს კრებულს, სადაც მოთავსებულია დარიგებანი წინააღმდეგ უიმედობისა და სასოწარკვეთილებისა... და ვიდრე ადამიანის გულში არ გამქრალა სინიდისი, ვიდრე კაცსა აქვს რწმენა, ვიდრე სიმართლე უყვარს,— იმ დრომდე უყვარს და არ მოჰბეზრდება სიცოცხლეცა.

საფრანგეთის მტრებს ჰგონიათ, რომ ჩვენ იმიტომ მივემხრეთ რუსეთს, ვითომ ვისიმე გვეშინოდეს და უსუსურ ბავშვებივით რუსეთის კალთის ქვეშ ვიმალებოდეთ და იმედი გვქონდეს მათის ხიშტებისა.

ეს ტყუილია. ყოვლად შეუძლებელია, რომ მარტო ამ მიზეზის გამო საფრანგეთი ასეთის აღტაცებით დახვედროდა რუსეთს. არა, ჩვენ მოგვწონს და გვიყვარს რუსეთის სიმხნევე, ძალ-ღონე, სისალე.

რუსების მოსვლამ საფრანგეთში სწორედ რომ სასწაული მოახდინა. მათი მოსვლა საკმარისი იყო, რომ გაეჩუმებინა მტრები საფრანგეთისა და მოესპო სულელური სიცილი და დაცინვა. ეს უკვე დიდი გამარჯვებაა რუსეთისა და შემდეგშიაც ბევრჯელ გაიმარჯვებს. იქნება ისიც მოხდეს, რომ კიდევ ერთხელ ჩრდილოეთიდგან მოსულმა ხალხმა დაიცვას ის, რაც კი ძვირფასს განძს შეადგენს ლათინთა ერისას, კვლავ დაუბრუნებს მათ, სიმდიდრესა და ძალ-ღონეს-კი არა, რაიცა არასოდეს არ გაჰკლდა, არამედ სულის სიმშვიდეს, სიმხნევეს, სიყვარულს შრომისას და კეთილისა და სიმართლის მისწრაფებას.

# რუსეთი

ამ ჟამად მემამულეთ ვექსელით ფული ეძლევათ, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ეს ფული მეურნეობას მოახმარონ. ეს პირობა ფინანსთა მინისტრს ძლიერ საძნელოდ მიაჩნია მემამულეთათვის, რადგანაც სესხად აღებული ფული ვერას უშველის მემამულეს მოუსავლიანობის დროს და უფრო მეტად გაუჭირებს საქმესა. მაგრამ, თუ ვინიცობაა მემამულემ სესხად აღებული ფული მოახმარა ქარხნისა, წისქვილის გამართვას და სხვა. მაშინ მოუსავლობა ისე აღარ დააზარალებს. ამ მოსაზრების გამო ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს ისე შესცვალოს წესდება მემამულეთათვის სესხის გაცემისა, რომ სესხის ამღებთ შეეძლოთ სესხად აღებული ფული, როგორც უნდოდეთ, ისე მოიხმარონ.

—

ფინანსთა მინისტრის თანაშემწის ა. ანტონოვიჩის მეთაურობით შემდგარმა კომისიამ განიხილა სახელმწიფო და საგლეხო ბანკის წესდების პროექტი და 13 ოქტომბერს წარუდგინა ფინანსთა მინისტრს.

მიუხედავად ამისა კომისია ჯერ არ იქმნა დათხოვნილი და კიდევ რამდენჯერმე შეიკრიბება და განიხილავს პროექტებს სასოფლო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა და შემნახველ კასების წესდებათა შეცვლისას, რადგანაც ეს წესდებანი, კომისიის აზრით, კარგად არ არიან შედგენილნი. ამ პროექტებს კომისია ცალკე წარუდგენს განსახილველად სახელმწიფო საბჭოს.

—

რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო ბანკმა მიჰმართა ფინანსთა სამინისტროს და სთქვა: ნება მოგვეცით, ჩვენმა ბანკმა სესხად გასცეს ფული, თანხმად იმ წესდებისა, რომელსაც სამინისტრო დაამტკიცებსო, ამასთან აუწყაბს, ბანკთან დაარსებულ იქმნება ცალკე განყოფილება ფულის გაცემისა სესხად; ამ განყოფილების მმართველობის წევრად შეიძლება მივიღოთ ერთი წევრი, მთავრობის მიერ დანიშნული, ხოლო იმ პირობით, რომ მთავრობამ ნება დართოს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათ, ჩვენის ბანკის მიერ გამოცემული ობლიგაციები მიიღონ დარქმეულ ფასად, იმ დრომდე მაინც, ვიდრე ამ ქაღალდებს ბირჟა თავის ფასს დასდებსო.

უწმინდესმა სინოდმა დაადგინა, რომ უნდა დაარსებულ იქმნას თანამდებობა სამრევლო სკოლების ინსპექტორებისა.

—

საფრანგეთის კომპანია ინჟინერ ბარბელოსი სთხოვს რუსეთის მთავრობას, ნება მოგვეცი ტელეფონი გავიყვანოთ ქალაქებსა და ისეთ ადგილებ შუა, სადაც გაძლიერებულია მრეწველობაო.

—

გაზეთ Гражданинъ-ის რედაქტორ გამომცემელს თავად მეშჩერსკის ნება მიეცა ახალი ყოველდღიური გაზეთი დაარსოს, Русь-ის სახელწოდებით. წლიური ფასი გაზეთისა 3 მანათი იქნება.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გარდაცვალებულ კომპოზიტორ გუნოს ქვრივმა მიიღო თავის ქმრის საფლავის შესამკობად მშვენიერი გვირგვინი, იითა და ვარდით მორთული; გვირგვინს ასეთი ზედ-წარწერა აქვს: „ნიშნად თაყვანის ცემისა დიდის კომპოზიტორისადმი. ვიქტორია, დედოფალი დიდის ბრიტანიისა და ირლანდიისა“. ეს სიტყვები დედოფალ თავის საკუთარის ხელით წაუწერია. გვირგვინი ჩამოკიდული იყო სამლოცველოში, რომელშიაც გუნო ასაფლავია.

—

**გერმანია.** კიოლნში სოციალისტების კონგრესი გაიმართა, გერმანიის პარლამენტის დეპუტატ ზინგერის თავმჯდომარეობით. მდივანმა დეპუტატმა აუერმა გამოაცხადა თავისი მწუხარება იმის გამო, რომ ბავარიელნი არ დაესწრნენ კონგრესს და საჭიროა მეორე კონგრესი გაიმართოს სამხრეთ გერმანიის რომელსამე ქალაქშიო. რადგანაც სალიტერატურო ფონდი საკმარისად გვაქვს, შეიძლება და სასურველიც არის ერთი კვირის გაზეთი კიდევ დავაარსოთო. მეორე დღეს კონგრესი შეუდგა საქმეების განხილვას. ბებელმა ილაპარაკა შუა-გულ დასის და სოციალ-დემოკრატების შესახებ. რადგანაც რეინის პროვინციაში შუა-გულ დასს მეტი ხმა აქვს, ამისთვის ბებელმა გაარჩია ამ დასის სწავლა-მოძღვრება და სთქვა, კიოლნში იმიტომ შევკრიბეთ კონგრესი, რომ დავარწმუნოთ მუშა ხალხი, რამდენად საშიშია მისთვის შუაგული დასი და აუცილებლად საჭიროა ყველა სოციალ-დემოკრატების დასს მიემხროსო.

—

**ინგლისი.** წინად კლუბი მხოლოდ მაღალ საზოგადოებისა და მდიდართა საჭიროებას შეადგენდა და ამიტომ მათი რიცხვი ცოტაც იყო. ეხლა-კი კლუბები გაბევრდა და ყველა სცდილობს რომელსამე მათგანში ჩაეწეროს. კლუბები მრავალ გვარია. აქ იკრიბებიან საღამოთი საქმეზედ მოსალაპარაკებლად, დასასვენებლად და ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად. შაბათ საღამოს-კი თითქმის ყველა კლუბში საპოლიტიკო საქმეზედ დაიწყება ხოლმე სჯა და კამათობა. ერთი წევრთაგანი კისრულობს მოახსენოს კრებას, რა მოხდა საყურადღებო გავლილ კვირის განმავლობაში; ასტყდება ამაზედ ლაპარაკი და კარგა ხანს გაგრძელდება ხოლმე.

ამას წინად თითქმის ყველა კლუბებში ლაპარაკი იყო მხოლოდ მადნებში მომუშავეთა გაფიცვის შესახებ. ეს ამბავი მარტო ამ მომუშავეთ-კი არ შეეხებოდა, არამედ საქვეყნო საქმედ გახდა და ყველანი აალაპარაკა. გაფიცვამ დიდხანს გასტანა და მრეწველობას დამხობას უქადის. ამ მოვლენაში ბრალი მუშა-ხალხს-კი არ ედება, არამედ მადნების პატრონთ, რომელთაც ნდომებიათ უკვე ამოღებული და დამზადებული ქვა-ნახშირი კარგს ფასად გაესაღებინათ. ამ ნაირად იმათ წინადვე მოუფიქრებიათ, კარგი იქმნება მუშაობა შესწყდეს, რომ საბუთი გვქონდეს ქვა-ნახშირი გავაძვიროთ, და მომუშავეთა პირშეკრულობა განგებ გამოუწვევიათ.

მადნების პატრონთ ხელშეკრულობა აქვთ გაზით გამნათებელ საზოგადოებასთანა და რკინის გზებთან, რომლის ძალითაც მოვალენი არიან ერთი ტონნი ქვა-ნახშირი 6 შილინგად აძლიონ. ხოლო ერთი მცირე პირობა-კი ყოფილა ამ ხელ-შეკრულობაში ჩართული: მომუშავეთა გაფიცვის დროს მადნების პატრონები ამ ვალდებულებისაგან განთავისუფლებულნი არიან. რაკი მადნის პატ-

---

ბოდა...

თ. ჭავჭავაძე მთელს თავის ფელეტონს იმაზედ აფუძნებს, მაჩაბლის ვალი საზოგადოებას რად უნდა გადაეხადაო და წამის-წამ ამ ამბის გამო ვითომ-და მარილიანად ოხუნჯობს. მერე ვინ შეეხვეწა საზოგადოებას, შენ გადაიხადეო? იმ კრებაში, რომლის მოთავეობაც იკისრა თ. ჭავჭავაძემ, თვით იმანვე არ აღძრა ამაზედ ლაპარაკი და არ წარმოსთქვა სიტყვა? მერე ყველანი ამაზედ არ დაყაბულდენ ჩემს გარდა? განა მე თითონ არა ვთქვი იქა, რომ იურიდიულად მე ვიკისრე ეგ ვალი და მევე უნდა გადამხდეს მეთქი? თუ ეს ყველა ასე იყო, მაშ რაღა ალაპარაკებს, რაღა აოხუნჯებს თ. ჭავჭავაძეს? მან ძალიან კარგად იცის, რომ ყველა ისე იყო, როგორც ჩემს წერილშია მოთხრობილი და ამიტომ პირდაპირის პასუხის მაგივრად ლაპარაკობს ისე, როგორც ძველს საბერძნეთში სამფეხა სკამზედ წამოსკუპებული პითია, რომლის სიტყვასაც გინდა ჰოს მიაკერებდი, გინდა არას.

„თუ მართლა ხსენებულმა თ. მაჩაბლის მიერ კრებულმა ისე დააყენაო საქმე, ბრძანებს თ. ჭავჭავაძე, (აქ „თუ“ რა მოსატანია? იყო, თუ არა ეს კრებული, ან ისე დააყენა საქმე თუ არა, ვითომ დაავიწყდა?!) როგორც ეს ქვეყნისათვის წამებული ვაჟბატონი (ვიშ ამ ზრდილობას და თავაზიანობას!) მოგვითხრობს, აქ მარტო რიდისა და თავაზიანობის იძულება უნდა ვიგულისხმოთ. თ. მაჩაბელი შესაბრალებელი იყო და ეს ამბავი მის ამხანაგთა შორის გამოიწვევდა შემწეობის სურვილს და რომ ეს შემწეობა თ. მაჩაბელს არ ეთაკილნა, საზოგადოების სახელით აკურთხეს და უთავაზეს.“

რაც „საზოგადოების სახელით აკურთხეს და მითავაზეს“, ის უკანვე მიგვირთმევია თ. ჭავჭავაძისათვის ჯეროვანის სარგებლით, თან ამ შებრალებისათვის მადლობა მოგვიხსენებია, მაგრამ ერთი რამ მაოცებს და მაკვირვებს. თუ თ. ჭავჭავაძეს ამისთანა შემბრალე გული ჰქონდა, რატომ იმ ფულიდან, რომელიც „დროების“ ხვედრ ბანკის განცხადებებიდან აიღო, მე ის მაინც არ მიწილა, რაც მისგან სასყიდლად დაპირებული მქონდა ჟურნალს „ივერიაში“ მუშაობის დროს, რომ ამ ფულით ცოტათი მაინც მომეწმინდა პირი ჩემგან ნაკისრებ ვალებისათვის. ამ საგანზედაც თ. ჭავჭავაძე გადაჭრილს არას ამბობს და ამ „შემხუთავ გარემოებათა შორის უხიფათოდ გადი-გამოდის“, ე. ი. იჩენს იმ ნიჭს, რაც ყოველ რედაქტორისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია. რაკი პირდაპირს უარს ვეღარ ამბობს, რადგან კარგად იცის დაწვრილებით გაახსენებენ ყოველ გარემოებას საქმისას, ასე მართლულობს თავსა:

„იმ ხანებში, როცა თ. მაჩაბელი მუშაობდა „ივერიაში“, ჩვენში სასყიდელი ვის ეძლეოდა, რომ თითქმის ათ წელიწადს შემდეგ ეხლა თხოულობს თ. მაჩაბელი? აქამდე სად იყო? რატომ არ მოითხოვა, თუ საბუთი რამ ჰქონდა. ჩვენ არც კანონიერ ხან-გასულობას ვეფარებით უკან, არც ფორმალურს საბუთებს ვითხოვთ. თ. მაჩაბელმა წარმოგვიდგინოს დავთრები მაშინდელ „ივერიის“ შემოსავალ-გასავლისა და რაც მოგება აღმოჩნდეს მთლად მიირთოს ჩვენგან“.

პირველ საკითხავზედ ამას მივუგებთ თ. ჭავჭავაძეს: მაშინაც, როცა მე ვმუშაობდი „ივერიაში“ და იმის წინადაც ბევრს მიუღია სასყიდელი სალიტერატურო შრომისათვის, მაგრამ შორეულ მაგალითებს რომ არ გამოვუდგეთ, დავასახელოთ თვით მისივე თანამშრომელი ზ. ქანანოვი, რომელიც ორი-სამი წლის განმავლობაში იღებდა წელიწადში 900 მანათს ჩემზედ წინად „ივერიაში“ შრომისთვის. ამასთანავე, თუმცა მსაყვედურობს თ. ჭავჭავაძე, აქამდე სად იყავი, თუ მართლა გერგებოდა რამეო, მაინც სულ-გრძელად მთავაზობს შრომის ფასს, ð რა-კი შეშინებია, მართლა არ წამომედავოს და არ გამომართვასო, საჩქაროდ უმატებს, თუ მოგება აღმოჩნდება რამეო. ჯერ უნდა დავამშვიდო თ. ჭავჭავაძე, რომ მე სრულიადაც არ ვედავები ხსენებულ ფულს, ღმერთმა საბედნიეროდ მოახმაროს, რადგან ლიტერატურაში შრომის დროს „დროებაში“, „ივერიაში“, „კვალში“ თუ სხვაგან მე შორს ვიყავ დუქან-ბაზრულ ანგარიშთან, მაგრამ თუ თ. ჭავჭავაძის მსჯელობას დავემყარე, იმ თ. ჭავჭავაძისა-კი არა, რომელიც ზემოხსენებულ კრებაში გაზეთის საზოგადო მნიშვნელობაზედ ლაპარაკობდა, არამედ „ივერიის“ ფელეტონის ავტორის ჭავჭავაძის მსჯელობაზედ, მაშინ-სრული ნება მაქვს, ვუთხრა მასვე, მე რა შუაში ვარ, თქვენ მოგება გქონდათ, თუ ზარალი, რა-კი აღმითქვით შრომის ფასი, უნდა მომცეთ კიდეცა მეთქი.

ტყუილად-კი არ არის ნათქვამი:

ასე ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო.

ერთმა უნდა ჯანი გაიგდებინოს, თავი ქვას ახალოს და ცხრა ასი თუმანი ერთ წელიწადში თუ მეტ ნაკლებში საიდანაც უნდა გადაიხადოს, მოგება ექმნება თუ ზარალი და მეორემ-კი მხოლოდ მაშინ შეასრულოს თავის მოვალეობა და მიცემული პირობა, თუ მოგებას ჯიბეში უხვად ჩაიჩხრიალებს!

აი ეს გახლავთ ლოგიკა თ. ჭავჭავაძისა, ამ ლოგიკის პატრონი უკიჟინებს სხვას უთაურობას, უტვინობას, წინდაუხედაობას და ბევრს კიდევ სხვას, რის დაწერაც არ გაუჭირდება ალვირ-წახსნილს ხელსა და კალამს.

ამასაც არა სჯერდება თ. ჭავჭავაძე, რომ 9000 მანათი მარტო მე დამატყდა ვალად და არავის ამ ვალიდან გროში არ გადაუხდია, იმისთანა გარემოებას ეძებს რომ ეს ვალი პატარა კიდევ გაზარდოს, ტანში აჰყაროს.

„მაჩაბელს უხარჯოთ დარჩაო ხელისმომწერთა ფული სექტემბრიდან იანვრამდე. რაკი გაზეთი გაუქმდა, ეს ოთხისა თუ მეტ-ნაკლების თვის ფული უკან უნდა დაებრუნებინა ხელის-მომწერთათვის, თუ მართებულობას დაეკითხებით და თ. მაჩაბელმა-კი არ დაუბრუნა. ამ სახით ჩვენმა მაღალ ზნეობაზე მაღლა მჯვირალმა ვაჟბატონ`ა შეიტყაპუნა (რა სადარბაზო სიტყვაა!) ოთხის თვის ხელის მომწერთა ფული მთლად და უხარჯოდ“.

აქაც უნდა მოვახსენოთ თ. ჭავჭავაძეს, რომ ზოგიერთებმა მოითხოვეს დანარჩენი სამთვე ნახევრის ფული და მიიღეს კიდეც, მაგრამ მრავლისაგან უმრავლესმა არ ინდომა თხუთმეტ შაურებისა და მანათ ნახევრების გამოკიდება, რადგან გაზეთს მოულოდნელი უბედურება შეემთხვა; მაგრამ ერთი ვკითხავ თ. ჭავჭავაძეს, მე რომ იმის იარაღითვე მომენდომა მასთან ბრძოლა, არ შემეძლო მეთქვა იმისავე სიტყვებით; „თ. ჭავჭავაძემ აი თუნდ 1884 წ. შეიტყაპუნა ოთხის თვის „ხელის მომწერის ფული ჟურნალის ივერიისა», რადგან ეს ფული სრულად მიიღო და თორმეტის წიგნის მაგივრად რვა წიგნი კი გაუგზავნა, და შეიტყაპუნა მაშინ, როცა ჟურნალს არა ვითარი უბედურება არ ადგა“ -*) მაგრამ ამისთანა ლაპარაკები არც საკადრისია,, არც სადმე მოსატანი, რადგან ჩვენი მკითხველები კარგად იცნობენ ჩვენის ლიტერატურის მდგომარეობას მეტადრე ამ ათიოდ წლის წინად და ამისთანა უნებურ უპირუთობას არავის ცოდვად არ ჩაუთვლიდენ.

ეს კიდევ უბრალო ანგარიშებია, რომელიც დიდის ყურადღების ღირსი არ არის, მაგრამ როცა თ. ჭავჭავაძე „დროების“ მოსპობაზედ ლაპარაკობს, აქ-კი ირღვევა ზღუდე ზრდილობისაც, სიმართლისაც, პირუთვნელობისაც და უხვად შადრევნად გადმოშხრიალებს დაგუბებული გრძნობა მისის „შემბრალე“ გულიდან. რა თქმა უნდა ყოველ ამ ამბავს თ. ჭავჭავაძე მხოლოდ მე მაბრალებს.

*) მართლაც თ. ჭავჭავაძეს მკითხველისათვის უნდა წლის განმავლობაში მიეწოდებინა თითო წიგნად ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ ხუთის დიდის თაბახისა და რომ ვიანგარიშოთ მთელი წლის ნომრები, ორმოცი თაბახიც არ გამოდის, ე. ი. რვა წიგნსაც არა ჰყოფნის. მართალია, ყდაზედ ზოგან უწერია მეშვიდე და მერვე წიგნიო და სხვ., მაგრამ ცარიელი ყდაზედ დაწერა მკითხველს რა თვალს გაუძლობდა!

რონებმა თავის საწყობებში დიდძალი ქვა-ნახშირი დაიგულეს, მუშაობის შეწყვეტა სასარგებლოდ დაინახეს და მუშებს ისეთი პირობა გამოუცხადეს, (სამუშაო ფასი 25 $^0/_0$-ით შეამცირეს), რომელსაც ისინი ვერას გზით ვერ დაეთანხმებოდნენ და იძულებულნი გახდნენ მუშაობაზე ხელი აეღოთ. მაღნის პატრონებსაც ეს უნდოდათ. 5 შილინგის მაგიერ თვითო ტონნი ქვა-ნახშირისა 26 და 30 შილინგი აიღეს, მრეწველნიც აზარალეს და მუშა-ხალხს ხომ ლუკმა-პური გაუწყვიტეს. ამ ამბავმა მთელი ინგლისი აალაპარაკა.

შემდეგ, მართალია, ზოგს მაღანში მუშა-ხალხმა ისევ მიჰყო ხელი მუშაობას და 60,000 კაცი მუშაობს კიდეც, მაგრამ 211,250 კაცი-კი უ'აქმოდ არის. ეს ამოდენა ხალხი დიდს გაჭირვებაშია. ბევრი შეწირულობა გროვდება, მაგრამ რა დააკმაყოფილებს ამოდენა უიარაღო და უსაქმო ჯარს და მათს ოჯახს. მუშები სხვა-და-სხვა ადგილს იკრიბებიან, დადიან ქუჩა-ქუჩა ათიათასობით და თხოულობენ კანონისაგან დახმარებას ხარბ მაღნების პატრონთა წინააღმდეგ.

ერთი ამისთანა ყრილობა მეტად საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა: უთვალავ მუშა-ხალხისას წინ მიუძღვის ცხენით მთავარ-მარშალი მუშებისა წითელის ყელსახვევით; იმას მისდევენ უმთავრესნი მდივნები ყვითელ ყელ-სახვევებით, შემდეგ დივიზიის მარშლები—მწვანე ყელსა-ხვევებით და სხვა-და-სხვა ამხანაგობათა მარშლები—თეთრ ყელ-სახვევებით. პოლიციასთან ერთად ესენი სცდილობენ, რომ მუშა-ხალხმა წესიერება არ დაარღვიოს და მართლაც ისე შემოივლიან ხოლმე ლონდონის უმთავრეს ქუჩებს, რომ მცირეოდნადაც არავის აწყევინებენ.

—

**ავსტრო-უნგრეთი.** «Politische Correspondenr» იუწყება, რომ საქორწინო კანონის შეცვლის პროექტი, რომლის ძალითაც სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის სამოქალაქო ქორწინება უნგრეთში, ეხლა იმპერატორთან არისო; ხოლო დასაბუთებული აზრი ამ პროექტის შესახებ უნგრეთის კარდინალის ვასარისა და კარდინალის შლაუხისა იუსტიციის მინისტრთან არის წარდგენილი. იუსტიციის მინისტრი თავის მოხსენებით იმპერატორს წარუდგენს ამ აზრს ამ რიგად იმპერატორს ეცოდინება აზრი მთავრობისა და კათოლიკეთა სამღვდელობისა ახალპროექტის შესახებ, და სრული შეძლება ექნება თავისი აზრი დასაბუთებით წარმოსთქვას ამ საგნის შესახებ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

რუსეთის ესკადრის ექიმები პასტერთან იყვნენ და თავისი პატივისცემა გამოუცხადეს. პასტერმა ექიმები მიიღო ინსტიტუტის დიდ ბიბლიოთეკაში, რომელშიაც იყო ქანდაკება ხელმწიფე იმპერატორის.

— დიდად მოხარული ვარო,—სთქვა პასტერმა,—რომ აქ დაგიხვდით, ამ ინსტიტუტში, რომელიც ცოტათი რუსეთსაც ეკუთვნის. ხელმწიფე იმპერატორი თვით დაეხმარა ამ ინსტიტუტს, თქვენი თანამემამულენი ბევრნი მოსულან აქ ავადმყოფნი და მოგვირჩენია, თქვენი ახალგაზდა მკურნალნი აქ მოსულან ჩვენთან სამუშაოდ. ყველა ამ მიზეზისა გამო ეს ინსტიტუტი ის კუთხეა საფრანგეთისა, სადაც რუსეთის მომეტებული მეგობრები მოიპოვება.

ექიმები რომ ინსტიტუტში იყვნენ, გარედ მრავალი ხალხი შეგროვდა. როცა პასტერი ექიმებით გარედ გამოვიდა, ხალხმა დაიყვირა: «გაუმარჯოს რუსეთს».

რუსეთის ესკადრის ექიმებმა პასუხად დაიძახეს: «გაუმარჯოს პასტერს, გაუმარჯოს საფრანგეთს!»

## გამოსადეგი ცნობა

—

თვის ბოლოკის მოყვანა ზამთარ ზაფხულს. ერთს დღესა და ღამეს ბოლოკის თესლი დასველებული უნდა შეინახოთ. შემდეგ პარკში ჩაჰყარეთ და გაღოჯებული თესლი დასთესეთ და თბილის წყალით მორწყეთ. რამდენსამე დღეს ბოლოკი ხახვის ოდენა თავს გაიკეთებს და კარგი გემოც ექმნება.

ზამთარში-კი ცოტა სხვანაირად უნდა მოიქცეთ. გადახერხეთ ძველი ბოჩკა, ერთ ნახევარში ჩაჰყარეთ კარგი მიწა, დაასველეთ თესლი, დასთესეთ და ბოჩკის მეორე ნახევარი დაჰხურეთ. მარანში უნდა იყოს. ყოველ დილას უნდა აჰხადოთ თავი და თბილის წყლით მორწყოთ. ხუთისა ანუ ექვსის დღის შემდეგ ბოლოკი მზად იქმნება.

ბოჩკის მაგივრად ყუთიც შეიძლება, ხოლო თავი კარგად უნდა ეხურებოდეს.

—

თაგვების დახოცვა. დანაყეთ კარგად დაუშლელი კირი და გასცერით. აურიეთ სანახევროდ გაცრილი კირი და წმინდათ დანაყილი შაქარი და დაჰყარეთ ისეთს ადგილს, რომელსაც თაგვი ეტანება. თაგვს მალიან უყვარს შაქარი და შაქართან ერთად კირსაც შესჭამს. წყალ დაუსხმელი კირი თაგვის მუცელში, რაკი ცოტაოდენი სისველე მოხვდება, გახურდება, გაიშლება და თაგვს ანთებას მოჰგვრის და მალე ბოლოს მოუღებს.

# დეპეშა

19 ოქტომბერი

**მადრიდი.** ბრძოლა მავრებისა ისპანიის ქალაქ მელილის მეციხოვანების წინააღმდეგ თანდათან ძლიერდება. მეციხოვნეთა უფროსი გენერალი მარჩელო მოკლულ იქმნა. ომში ბევრნი დაიხოცნენ და დაიჭრნენ, როგორც მავრთა, ისე მეციხოვანთა მხრით. ისპანიის ერი შეშფოთებულია. რესპუბლიკელთა უმცირესობა პალატაში შეიკრიბა პიმარეოლის თავმჯდომარეობით და გადასწყვიტა, რაკი ასეთი სამძიმო საქმე მოხდა, შევიკრიბნეთ პარლამენტის მომავალ სესიისათვისაო. რესპუბლიკელნი თხოულობენ, ჩქარა და დაუყოვნებლივ იქმნას მოწოდებული პარლამენტი სამუშაოდაო.

# განცხადებანი




წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| ბაგრატ IV მისივე | „ | 20 |
| ვახტანგ VI მისივე | „ | 15 |
| მითრიდატ დიდი, პონტის მეფე, მისივე | „ | 10 |
| მირიან მეფე და წმ. ნინო, მისივე | „ | 10 |
| ქართველი ქალები, მისივე | „ | 10 |
| სამი ისტორიული ქრონიკა, ე. თაყაიშვილისა | 1 | „ |
| წმ. ნინოს ცხოვრება, მისივე | „ | 40 |
| ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად, ანუ გიორგი სააკაძე, ან. ფურცელაძისა | 1 | 20 |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი | 1 | 50 |
| თამარ-მეფე, დ. კარიჭაშვილისა | „ | 15 |
| გუჯრები, ალ. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა I ნაწ. სამცხე, გამოც. მ. ჯანაშვილისა | „ | 25 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა | „ | 20 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა, მისივე | „ | 50 |
| მეგლის დება, მისივე | „ | 25 |
| მოკლე საყოველთაო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა | 1 | „ |
| საქართველოს საეკლესიო ისტორია მ. ჯანაშვილისა | „ | 45 |


—

იგი ბრძანებს:

„გაზეთს უნდოდა თაოსნობა, წინ-დახედულობა, მოხერხება, ზოგიერთ შემხუთავ გარემოებათა შორის უხიფათოდ გასვლა-გამოსვლა. განა რომ ამას ყველაფერს ჭკუა-გონება უნდოდა“. და მაჩაბელმა-კი გაზეთს სული დაალევინაო. „აქ ბრალი ედებაო უთაურობას, წინდაუხედაობას, უთავბოლობას და გარემოების უცოდინარობას, აუწონ-დაუწონებლობას და სხვას არასფერს... რა მიზეზითაც თ. მაჩაბლის ხელში სული ამოხადეს გაზეთსა, ჩიტირეკიობის მეტი არა ეთქმის-რა. თუ გაზეთი მართლა საქვეყნო საქმეთ მიჩნეული იყო თ. მაჩაბლისაგან, ეს დიდი საქმე არც უნდა ადვილად გაეწირა და ცალიერ ქარაფშუტობისათვის ენაცვალებინა, საქმე გასაწირავად უნდა ღირებულიყო. უამისოდ ყოველივე გაწირვა უთაურობაა, სხვა რომ არა ვთქვათ-რა“.

აქ ლარი და ხაზი რაღა საჭიროა. როგორცა სჩანს თ. ჭავჭავაძის სიტყვებიდან, მე სწორედ ჯვარს უნდა მაცვან, რაკი ამისთანა დამნაშავე ვყოფილვარ ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, მაგრამ ნება მომეცით ვექილად თვით თ. ჭავჭავაძე ავარჩიო და მასვე ვათქმევინო საზოგადოების წინაშე ჩემი გასამართლებელი სიტყვა.

აი რასა სწერდა იგივე თ. ჭავჭავაძე თავის გაზეთში დროების მოსპობის გამო (გაზ. „ივერია“ № 217, 1886 წ.):

«ჩვენის ტფილისის სასამართლო პალატის მატიანეში ერთი მეტად საგულისხმიერო ამბავი უნდა შევიტანოთ. გუშინ პალატამ დამნაშავედ არ იცნა და სრულიად გაამართლა „დროების“ რედაქტორი თ. ივ. მაჩაბელი, რომელსაც შესწამეს ერთგვარი დანაშაულობა, კანონებში დიფამაციად ცნობილი... ამ ამბავმა ერთ დროს დიდი ალიაქოთი ასტეხა ჩვენს პატარა წრეში და „დროებას“ ჩვენდა სამწუხაროდ, ძვირად დაუჯდა. ამისთანა წინასწარი შედეგი მით უფრო სანაღვლელია, რომ დღეს პალატამ გაასამართლა ეს საქმე და დაინახა, რომ რედაქტორი და გაზეთი აქ არაფერს შუაშია. ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი არ იყო, რომ პირუთვნელი სამართალი ამ საქმეს სწორედ ასე დააბოლოებდა. პირ-იქით, ჩვენ ის გვიკვირდა, რომ თვითონ ბრალდება როგორ უნდა აშენებულიყო იმისთანა უსაფუძვლო საბუთზედ, რომელიც სარჩულად დაუდვა თავის საჩივარს ტყუილ-უბრალოდ გულ-გამწყრალმა მოხელემ. ჩვენ გვეოცება, რომ საქმე თვით განსამართლებამდე არ იქმნა მოსპობილ და თვითონ საჩივარი უყურადღებოდ დატოვებულ... მეტის-მეტი დაქვეითება იქნება კანონისა, რომ კაცმა ზღაპრად დაწერილი ამბავი თავის თავზედ მიიღოს და კანონს სთხოვოს გამომესარჩლეო. განა არის ქვეყანაზედ იმისთანა ნაწერი, საცა-კი ადამიანია ხსენებული, რომ გაზვიადებულმა გრძნობამ თაკილობისამ კლანჭი არ გამოჰკრას რასმე და თავის თავზედ არ მიიღოს?.. განა აქვს რედაქტორს ღონისძიება გამოიცნოს, რომ ცხრა მთას იქით ესა-და-ეს კაცია, რომელიც ყოველს მოთხრობილს თავის თავზედ მიიღებს, ითაკილებს და კანონს მიმართავს შემწეობისათვისაო. ამ შემთხვევაში რომ ბრალი დაედოს რედაქტორს, ჯერ უნდა მივანიჭოთ მას ნიჭი გულთმისნობისა და რადგანაც ეს ნიჭი ადამიანის ხელთ არ არის, ყოველივე ბრალი ამისთანა შემთხვევაში ამ ნიჭის უქონლობაზედ იქნება აშენებული. კანონი ვერ იკისრებს დასაჯოს კაცი იმიტომ რომ გულთმისანი არა ხარო. პალატას რომ გუშინდელ გარჩეულ საქმეში რედაქტორი „დროებისა“ დამნაშავედ ეცნო, მთელს ლიტერატურას თავს-ზარს დასცემდა. მას შემდეგ შეუძლებელი იქმნებოდა კაცს რაიმე მოთხრობა, რომანი, კომედია დაეწერა იმიტომ რომ არც ერთი ამისთანა რამ ისე არ იწერება, რომ ადამიანის საქციელი ან ავად—ან კარგად არ იხსენებოდეს. რაკი ასეა, რაკი ამ გვარი ლიტერატურა თავის საგანს ადამიანთა ცხოვრებიდგან იღებს და იმოდენადაც ქებულია, რამოდენადაც ახლოა ამ ცხოვრებასთან, ამიტომ არც ის შეიძლება ამ თვალ-გადაუწვდენელ ქვეყანაში ერთი იმისთანა კაცი არ მოიპოვებოდეს, რომ რაიმე მზგავსება თვისი არ იცნოს და მაშასადამე საბუთი საჩივრისა ხელთ არ იგდოს დასასჯელად დამწერისა. თქვენი მტერი იქნებოდა, რაც საქმე ლიტერატურას დაემართებოდა, რომ ეს ასე იყოს. გუშინდელმა განაჩენმა პალატისამ, ჩვენდა სასიხარულოდ, დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის და არც უნდა იყოს“.

შეადარეთ ყოველივე ეს ამონაწერი თ. ჭავჭავაძის ფელეტონს და ჰკითხეთ მას, როდის ამბობდა მართალს ერთსა და იმავე გარემოებაზედ? მაშინ, როდესაც თავის ნაღველს უცხადებდა მკითხველებს „დროების“ წინასწარ დასჯისათვის და რედაქტორისადმი ცილის შეწამებისათვის? როდესაც ნაბათსა სცემდა სიხარულისას, რომ სამართალმა თვისი უტყუარი მსჯავრი დასდო და სრულიად გამამართლა ამ საქმეში? როდესაც ამბობდა, რომ მაჩაბლის გამტყუნება თავ-ზარ დასაცემი იქნებოდა მთელის ლიტერატურისათვისაო (ეს-კი ცოტა ადვოკატური გადაჭარბება მოსვლია), რადგან შეუძლებელ მდგომარეობაში ჩააყენებდაო? თუ ეხლა ამბობს მართალს, რაცა ქვეყანაზედ სალანძღავი სიტყვა არ დარჩენია, რომ მე არ მომაწეროს, რადგან „დროების“ დაღუპვას ჩემს უთაურობას აბრალებს?! მოგვცეს პასუხი და „მოხერხებით უხიფათოდ გავიდ-გამოვიდეს ამ შემხუთავ გარემოებაში„, რის ცოდნასაც ისე თამამად კვეხულობს. ან იქნება ჰგონია თ. ჭავჭავაძეს, რომ ეს ყველაფერი აღარ გვახსოვს და გაბედვით შეუძლიან ინავარდოს ჩვენს გულმავიწყობაზედ? ან თუ იმის იმედი აქვს, რა-კი ჩემს სახელსა და გვარს სრულად ვწერ, ყოველს ჩემს სიტყვას ხალხი ოქროდ მიიღებენ და ძველ ამბებს ვიღა გამოუდგებაო? თუ ყველასაგან ცნობილ ამბავს, 50 კაცს წინაშე მომხდარს „მოხერხებით“ ხელს აფარებს და „უხიფათოდ გადი-გამოდის შემხუთავ გარემოებაში“ იმ იმედით რომ ენით თქმული ზოგს დაავიწყდებოდა და ზოგნი ვერ უმოწმებენ მაჩაბელს ან ჩემის ხათრით, ან ჩემის მორიდებითაო, —ზემოდ ამოწერილი ხომ მისგანვეა დაწერილი, მისგანვეა ხელ-მოწერილი და იმის გაზეთში ჩაბეჭდილი მომავალ შთამომავლობათა სასწავლებლად და სად წაუვა იგი ამ უტყუარ საბუთს, რაც უნდა „მოხერხება“ და „შემხუთავ გარემოებაში უხიფათოდ გაძრომ გამოძრომის“ ნიჭი გამოიჩინოს?

ერთს თ. ჭავჭავაძის ჩვეულებაზედ კიდევ მივუთითებთ მკითხველს: მას ზნედა სჭირს თავის გაზეთის ფურცლებში დაუთმოს ხოლმე ალაგი იმისთანა ცილის-წამებას თავის მოპირდაპირეთადმი, რომლის წაკითხვის დროს ბევრნი ამა თუ იმ პირს ასახელებენ; მაგრამ ისე მორიდებითა და შიშით კია ყველა ეს ნათქვამი, რომ დასახელებული კლანჭს ვერ ჩასჭიდებს და ვერ იტყვის, ეს მე შემეხებაო. ეხლაც ამ სახითვე გამოუყენებია „კვალში“ დაბეჭდილი უღირსი ცილის-წამება რაღაც კასის კლიტის მოტაცებაზედ და ჩაუკერებია თავის ფელეტონში. მაგრამ იცოდეს თ. ჭავჭავაძემ და მისგან მოვლინებულთა, რომ არც უნდა ამისთანა ყრუ ცილის-წამება ბექდონ მათთვის განმზადებულ „ივერიაში“, არავითარს პასუხს ჩემგან არ მიიღებენ. და როცა კი გაკადნიერდება თ. ჭავჭავაძე და პირდაპირ დამასახელებს, როგორც უკანასკნელ ფელეტონში, მაშინ ღირსეულს და ჯეროვანს პასუხს მიიღებს ამა თუ იმ გზით, რაც უნდა ეცადოს და თავის კუთვნილ რედაქციის კარები ცხვირწინ ჩამიკეტოს.

ეს-ღა მაქვს ბოლოს სათქმელი:

სწორედ საოცარია, თუ-კი ეხლანდელ დროში საოცარი დარჩენილა კიდევ რამ, რომ თ. ჭავჭავაძის სახელი და გვარი აწერია ზემოხსენებულ უკადრისს ფელეტონს, იმ თ. ჭავჭავაძისა, რომელიც ერთ-ერთ თავის წერილში ასეთის რიხითა და მრისხანებით ჰკიცხავს ადამიანის უმართებულო თვისებას, ურცხვობად წოდებულს.

დიაღ:

«ქვეყანაზედ მრავალ გვარი ავკაცობაა, მრავალ გვარი სულმდაბლობა და სალახანაობა. ხოლო ყველაზედ უარესი, ყველაზედ საზიზღარი, ყველაზედ ჩირქიანი ურცხვობაა. ნუ გგონიათ ურცხვობა უღონო რამ იყოს, არა, იგი ძლიერია მარტო მით, რომ ურცხვობაა და რა-კი ურცხვობაა, იმის ხელთ ბარაქიანი ტყუილიც არის, ზორბა უნამუსობაც, სამარცხვინო სულელობაც, საზიზღარი წილის-წამებაც.

(გაზეთი „ივერია“ 1888 წ. № 16, მეთაური წერილი).

ი. მაჩაბელი

Доз. ценз. Тифлисъ, 20-го Октября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე